ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა განმცხადებლის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე

საქმე „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი no. 71503/01)

ბ. ხარჯები და დანახარჯები

204. მომჩივანი მოითხოვდა 37.000 ევროს ხარჯებისა და გაწეული დანახარჯებისთვის, რომელიც შემდეგნაირად იყო გადანაწილებული: 2.000 ევრო სამდივნო და სათარჯიმნო ხარჯები, რომლებიც მომჩივანმა გაწია სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებისას, 1.800 ევრო მისი ადვოკატის მგზავრობისთვის თბილისსა და ბათუმს შორის ეროვნული სასამართლოების წინაშე დაცვის პოზიციის 55 მომზადების მიზნით და 42.000 აშშ დოლარი (დაახლ. 33.200 ევრო) ბ-ნი ხატიაშვილის მიერ ეროვნული სამართალწარმოების მიმდინარეობისას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე გაწეული საადვოკატო მომსახურეობისთვის. გარდა იმ შეთანხმებისა, რომელიც დადებულ იქნა ბ-ნ ხატიაშვილსა და მომჩივნის ვაჟს შორის 2000 წლის 30 ნოემბერს, მომჩივანს არ წარმოუდგენია რაიმე დოკუმენტალური მტკიცებულება თავისი მოთხოვნის გასამყარებლად. აღნიშნული მოთხოვნა ემყარებოდა სასამართლოს რეგლამენტის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტს. შეთანხმების თანახმად: „თუ თენგიზ ასანიძის ბრალდების საქმე ... იქნა მოგებული საქართველოს უზენაეს სასამართლოში ... და თენგიზ ასანიძე გაათავისუფლეს პატიმრობიდან, მაშინ მე, დ. ასანიძე, ... ვიღებ ვალდებულებას, ადვოკატ ზაზა ხატიაშვილს გადავუხადო ... 42.000 (ორმოცდაორი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.“

205. მთავრობას არ წარმოუდგენია კომენტარები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

206. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმე მოიცავს წერილობითი მიმოხილვების ორ სერიასა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე გამართულ მოსმენას (იხ. §§ 4, 9 და 16). ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ, განიხილა რა მომჩივნის პრეტენზიები და მხედველობაში მიიღო რა ის ფაქტი, რომ გარკვეული ქვითრები არ არის წარმოდგენილი, ყოველივე ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ ხარჯები და გაწეული დანახარჯები რეალურად იქნა

გაღებული დარღვევის აღკვეთის მიზნით. პრეცედენტული სამართლის თანახმად, სასამართლოს ხარჯების ანაზღაურების დაკისრება შეუძლია მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ისინი რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული იმ მიზნით, რომ აღკვეთილიყო ან მიღებულიყო ანაზღაურება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენდა კონვენციის დარღვევას (იხ. სხვებს შორის, Tolstoy Miloslavsky c. Royaume-Uni, arrêt du 13 juillet 1995, série A no 316-B, p. 83, §77 ; Malama c. Grèce (სამართლიანი დაკმაყოფილება), no 43622/98, §17, 18 avril 2002). სასამართლო ასევე ითვალისწინებს იმ დიდ სხვაობას, რომელიც აღინიშნება გადასახადების ოდენობებს შორის სხვადასხვა სახელმწიფოებში და ამიტომაც არ თვლის შესაბამისად, განახორციელოს უნივერსალური მიდგომა კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად გადასახდელ თანხებთან დაკავშირებით. სასამართლო ასევე იმეორებს, რომ არ თვლის თავს შეზღუდულად ქვეყანაში არსებული გაანგარიშებებითა და პრაქტიკით, თუმცა სასამართლოს შეუძლია მიიღოს გარკვეული დახმარება მათგან (იხ. სხვებს შორის, M.M. c. Pays-Bas, n o 39339/98, §51, 8 avril 2003).

207. დაადგინა რა თანასწორობის საფუძველზე და გაითვალისწინა რა ის თანხა, რომელიც მომჩივანს უკვე გადაუხადა ევროპის საბჭომ სამართლებრივი დახმარების სახით, სასამართლო ანიჭებს მას 5.000 ევროს, ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადთან ერთად, რომელიც შესაძლოა დაექვემდებაროს დაბეგვრას.

საქმე „კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი no. 1484/07)

ბ. გაწეული ხარჯები და დანახარჯები

105. მომჩივნებმა მოითხოვეს 3.970 ევრო და 1.330 ფუნტი სტერლინგი (1.667 ევრო) სასამართლოში მათი წარმომადგენლობის ხარჯების ანაზღაურების მიზნით, კერძოდ 2 ქართველი და 1 ბრიტანელი ადვოკატისთვის (იხ. §2). ეს ორი ხარჯი შედგება დახარჯული საათებისა და ადვოკატების საათობრივი ანაზღაურებისგან - 79 საათი და 40 წუთი - 50 ევროს კურსით ქართველი ადვოკატებისთვის და 22 საათი - 100 ფუნტის 2006 წლის კურსით და 150 ფუნტის 2010 წლის კურსით - ბრიტანელი ადვოკატისთვის. დეტალური აღწერა მოიცავს თარიღებსა და იურიდიული მომსახურების ზუსტ სახეობას.

106. მომჩივნებმა ასევე მოითხოვეს 1.361,20 ლარი (657 ევრო) შესაბამისი ჩეკების საფუძველზე, საფოსტო და სათარჯიმნო ხარჯებისთვის. მათ აგრეთვე მოითხოვეს 592 ევრო და 160 ფუნტი სტერლინგი (200 ევრო) გარკვეული სხვა ხარჯებისთვის, რომელთა გაღება, სავარაუდოდ, მოხდა ქართველი და ბრიტანელი წარმომადგენლების მიერ საჩივარზე მუშაობის პროცესში, ამ მოთხოვნის გასამყარებლად, მათ ფინანსური დოკუმენტები არ წარმოუდგენიათ.

107. მთავრობამ აღნიშნა, რომ მომჩივანთა პრეტენზიები უმეტესად დაუსაბუთებელი და გადაჭარბებული იყო.

108. სასამართლო შენიშნავს, რომ საია-სა და EHRAC-ის ქართველმა და ბრიტანელი ადვოკატებმა მომჩივნებს გაუწიეს საჭირო იურიდიული დახმარება. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ მთელ რიგ ქართულ საქმეებში, მან დაადგინა, რომ ამ ორი NGO-ს ადვოკატთა გუნდი სამართალწარმოების დროს არ შეიძლება დარჩეს კომპენსაციის გარეშე და რომ ადვოკატთა მიერ შესრულებული სამუშაო და დახარჯული საათების დეტალური და სანდო აღწერა ამტკიცებს მომჩივნთა წარმომადგენლების მიერ გაწეულ ხარჯებს (იხ. Klaus and Yuri Kiladze v. Georgia, no. 7975/06, §§ 91-94, 2 February 2010, და Tsintsabadze v. Georgia, no. 35403/06, §105, 15 February 2011). აქედან გამომდინარე, სასამართლო მომჩივნებს მიაკუთვნებს 3.970 ევროს და 1.330 ფუნტ სტერლინგს (1.667 ევრო) მათ მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების მიზნით, კერძოდ 2 ქართველი და 1 ბრიტანელი ადვოკატისთვის.

109. ადმინისტრაციულ ხარჯებთან მიმართებით, სასამართლო, ამ საკითხის შესახებ კარგად დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით (იხ. Ghavtadze v. Georgia, no. 23204/07, §§ 118 და 120, 3 March 2009) და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, მომჩივნებს მიაკუთვნებს 1.361,20 ლარს (657 ევრო) საფოსტო და სათარჯიმნო ხარჯების ანაზღაურების მიზნით.

საქმე „ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი n o 35887/05)

ბ. ხარჯები და დანახარჯები

99. მომჩივანმა აგრეთვე მოითხოვა 70.000 ლარი (34.719 ევრო) სამი ადვოკატის მიერ ეროვნულ და ევროპულ სასამართლოებში მისი წარმომადგენლობის ხარჯების ანაზღაურების სახით, რაც მოიცავს ადვოკატების მიერ გაწეულ ისეთ

ადმინისტრაციულ ხარჯებს, როგორებიცაა ფოსტის, ტელეფონისა და ფაქსის ხარჯები. ამის გასამყარებლად მან წარმოადგინა იურიდიული მომსახურების შესახებ შეთანხმების ასლი, რომლის მიხედვით მომჩივანი ადვოკატებს დაპირდა შიდა სამართალწარმოების დროს მისი ინტერესების დაცვისთვის 30.000 ლარის (14.880 ევრო) ანაზღაურებას. თუმცა შესაბამისი ქვითრის არარსებობის პირობებში გაუგებარი ხდება, განხორციელდა თუ არა ანგარიშსწორება. უფრო მეტიც, სხვადასხვა ადმინისტრაციულ ხარჯებთან დაკავშირებით, ფოსტის ქვითრის გარდა, რომლის ოდენობამ შეადგინა 339,25 ლარი (168 ევრო), რაც დაჭირდა სხვადასხვა დოკუმენტების გაგზავნას სასამართლოში, სხვა ქვითრები ან ფინანსური დოკუმენტები არ ყოფილა წარმოდგენილი.

100. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნის მიერ მოთხოვნილი თანხა დაუსაბუთებელი და გადაჭარბებულია. თუმცა მან აღიარა, რომ მომჩივანი გასწევდა გარკვეულ იურიდულ ხარჯებს და სთავაზობს სასამართლოს, მომჩივანს მიაკუთვნოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად დადგენილი გონივრული თანხა.

101. სასამართლო შენიშნავს, რომ მომჩივანმა არ წარმოადგინა ქვითარი, რომელიც დაადასტურებდა დანახარჯებისა და ადვოკატის გასამრჯელოს გადახდას მისი მხრიდან. თუმცა როგორც მთავრობამ აღიარა, მომჩივნისთვის გაწეული იურიდიული დახმარება არ იქნებოდა უფასო. სასამართლო კვლავ აცხადებს, რომ ამ თვალსაზრისით ის არ შემოიფარგლება შიდა ანაზღაურების მასშტაბითა და პრაქტიკით (იხ. Assanidze v. Georgia [GC], no. 71503/01, §206, ECHR 2004 II, and Patsuria, ხსენებული ზემოთ, §103). საქმის სირთულიდან გამომდინარე, სასამართლოს გონივრულად მიაჩნია მომჩივნისთვის 1.000 ევროს მიკუთვნება მის წინაშე წარმომადგენლობის ხარჯების ანაზღაურების სახით.

საქმე „ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ"

(საჩივარი n o 55723/00)

ბ. ხარჯები და დანახარჯები

143. მომჩივანი ხარჯებისა და დანახარჯებისთვის მოითხოვდა შემდეგ თანხას:

(i) 2,000 ევროს ეროვნული სამართალწარმოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე საქმის წარმოების, ჯამში ორმოცი საათი (ერთი

საათი - 50 ევრო), დროს ბ-ნი იური ვაჟნას მიერ განხორციელებული წარმომადგენლობისთვის,

(ii) 3,000 ევროს ბ-ნი კირილ კოროტეევის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე გაწეული საადვოკატო საქმიანობისთვის, ჯამში სამოცი საათი (ერთი საათი - 50 ევრო),

(iii) 2,940 გირვანქა სტერლინგი მომჩივნის ადვოკატების (ბ-ნი ფილიპ ლიჩი და ბილ ბოვრინგი) მიერ ლონდონში გაწეული ხარჯებისთვის

(iv) 600 გირვანქა სტერლინგი ქ-ნი მირიამ კარიონ ბენიტეზის მიერ გაწეული კონსულტაციისთვის.

144. 2004 წლის 1-ელ ივლისს სასამართლო სხდომაზე ადვოკატების მონაწილეობასთან დაკავშირებით აპლიკანტი მოითხოვდა შემდეგ თანხებს:

(i)1,200 გირვანქა სტერლინგი (800 გირვანქა სტერლინგი ბ-ნი ფილიპ ლიჩისთვის- 100 გირვანქა სტერლინგი ერთ საათში, ამასთანავე 400 გირვანქა სტერლინგი მისი მგზავრობის დროისთვის - 50 გირვანქა სტერლინგი ერთ საათში);

(ii) 1,400 გირვანქა სტერლინგი (1,000 გირვანქა სტერლინგი ბ-ნი ბილ ბოვრინგისთვის - 100 გირვანქა სტერლინგი ერთ საათში, გარდა ამისა, 400 გირვანქა სტერლინგი მისი მგზავრობის დროისთვის - 50 გირვანქა სტერლინგი ერთ საათში);

(iii) 1,000 ევრო (500 ევრო ბ-ნი კირილ კოროტეევისთვის - 50 ევრო ერთ საათში, გარდა ამისა, 500 ევრო მგზავრობის დროისთვის - 25 ევრო ერთ საათში);

(iv) 700 ევრო (200 ევრო ქ-ნი დინა ვედერნიკოვასთვის - 50 ევრო ერთ საათში, გარდა ამისა, 500 ევრო მგზავრობის დროისთვის - 25 ევრო ერთ საათში).

145. საპასუხოდ, მთავრობა ამტკიცებდა, რომ აპლიკანტის ზემოთ ხსენებული მოთხოვნები დაუსაბუთებელი იყო. მთავრობამ განაცხადა, რომ ,,აპლიკანტს არ წარმოუდგენია ადვოკატებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ან ქვითრები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ აღნიშნული ხარჯები რეალური იყო''. მთავრობამ სადავო გახადა ადვოკატის ხარჯების გარკვეული დეტალები, კერძოდ, დრო, რომელიც ბ-ნმა კოროტეევმა აპლიკანტთან სატელეფონო საუბრის დროს დახარჯა და, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე ქ-ნი ვედერნიკოვას გამოცხადების საჭიროება.

146. პირველ რიგში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უნდა დაადგინოს აპლიკანტის მიერ მითითებული ხარჯები და დანახარჯები ნამდვილად იქნა თუ არა გაწეული; ხოლო, მეორე რიგში, რამდენად აუცილებელი იყო მათი გაღება (see *McCann and Others v. the United Kingdom*, judgment of 27 September 1995, Series A no. 324, p. 85, § 220).

147. რაც შეეხება პირველ საკითხს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ აპლიკანტს არ წარმოუდგენია მასა და ადვოკატებს შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმება. მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული შეთანხმება არ არსებობს. რუსული კანონმდებლობის თანახმად, მომსახურების შესახებ ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს ზეპირი ფორმით (რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 153-ე მუხლი წაკითხული 779-ე მუხლთან ერთობლიობაში); არაფერი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ აპლიკანტსა და მის ადვოკატებთან დაკავშირებით აღნიშნულ შემთხვევას არ ჰქონდა ადგილი. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავრობას არ წარმოუდგენია საპირისპირო არგუმენტი. შესაბამისად, ადვოკატების ხარჯები ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ექვემდებარება ანაზღაურებას და, კონვენციის თვალსაზრისით, რეალურია. აღნიშნულ დასკვნაზე გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, რომ აპლიკანტისთვის ხარჯების დაფარვა წინასწარ არ მოუთხოვიათ.

148. დამატებით, უნდა დადგინდეს, საჭირო იყო თუ არა აპლიკანტის ადვოკატების დანახარჯები. რაც შეეხება იური ვაჟნას მიერ მოთხოვნის ოდენას, იგი უნდა შემცირდეს გამომდინარე იქედან, რომ აპლიკანტის საჩივრის ნაწილი დაუშვებლად იქნა ცნობილი. მიიღო რა გადაწყვეტილება სამართლიანობის საფუძველზე, სასამართლომ მას 1,500 ევრო მიაკუთვნა.

149. რაც შეეხება აპლიკანტის მიერ გაწეულ ხარჯებსა და დანახარჯებს მას შემდეგ, რაც მისი საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი (მითითებულია 143-ე პარაგრაფში (ii)-(iv)), სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მოსამზადებლად ორივე მხარის მიერ გაწეულ იქნა დიდი სამართლებრივი და ტექნიკური შრომა. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნულ ხარჯებს საჭიროდ მიიჩნევს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნილ ოდენობას, სახელდობრ ბ-ნი კოროტეევის ხარჯებთან მიმართებით 3,000 ევროს და ბრიტანელი ადვოკატებისთვის გაწეულ ხარჯებთან მიმართებით 3,540 გირვანქა სტერლინგს.

150. საბოლოოდ, 2004 წლის 1-ლი ივლისის სასამართლო მოსმენის ხარჯებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ

აპლიკანტის ოთხივე ადვოკატის დასწრება აღნიშნულ სხდომაზე არ იყო აუცილებელი. გონივრული შეფასების შედეგად, სასამართლო მოთხოვნილი თანხებიდან აკმაყოფილებს 2,000 ევროსა და 2,000 გირვანქა სტერლინგს.

151. აღნიშნულ თანხებს უნდა დაემატოს ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება დაკისრებულ იქნეს.

საქმე „პინკოვა და პინკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“

(საჩივარი no. 36548/97)

B. ხარჯები და დანახარჯები

69. განმცხადებლები ითხოვდნენ 302 793 ჩეხურ კრონას ჩეხეთის სასამართლოებსა და კონვენციის ორგანოებში დახარჯული თანხის ასანაზღაურებლად. მათი იურიდიული წარმომადგენლობის ხარჯები ეფუძნებოდა ადვოკატთა ანაზღაურების შესახებ №270/1990 კანონს (ძალაში იყო 1996 წლის 1 ივლისამდე) და №177/1996 კანონს, რომელიც ადგენდა ადვოკატთა ანაზღაურების ფარგლებს. მათი ადვოკატი აცხადებდა, რომ მისი ჩვეულებრივი საკონტრაქტო ანაზღაურება საათში 1 500 ჩეხურ კრონას შეადგენდა. განმცხადებელთა ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით მან არ აიღო თანხა, იმ პირობით, რომ საქმის გადაწყვეტის შემდეგ განმცხადებლები აუნაზღაურებდნენ სამუშაოს.

70. მთავრობა აცხადებდა, რომ მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული მხოლოდ საოლქო და საკონსტიტუციო სასამართლოების წინაშე გაწეული ხარჯები, ასევე სამართალწარმოების განახლების მოთხოვნით წარდგენილ სარჩელზე დახარჯული თანხა, რადგან დანარჩენი ხარჯების გაწევა კონვენციის დარღვევის გასაჩივრების მიზნით არ მომხდარა. ამას გარდა, მთავრობამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ თუმცა განმცხადებელთა ადვოკატმა ეროვნული სამართალწარმოებისთვის ადვოკატთა ზღვრული განაკვეთი მოითხოვა, სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებისთვის იგი საკონტრაქტო ანაზღაურებას ითხოვდა, რაც, მთავრობის მტკიცებით, ძალზე გადამეტებული იყო, ისევე, როგორც იმ საათების რაოდენობა (150), რომლებიც, ადვოკატის თქმით, მას დასჭირდა საჩივარზე მუშაობისათვის.

71. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აცხადებს, რომ კონვენციის დარღვევის დადგენის შემთხვევაში მან განმცხადებლებს შეიძლება მიანიჭოს ის თანხები და დანახარჯები, რაც მათ გაიღეს ეროვნული სასამართლოების წინაშე დარღვევის თავიდან ასაცილებლად ან უფლების აღსადგენად (იხ., სხვა წყაროებთან

ერთად, Zimmermann and Steiner v. Switzerland, 1983 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, სერია A № 66, გვ. 14, პუნქტი 36, და Hertel v. Switzerland, 1998 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილება, ანგარიშები 1998-VI, გვ. 2334, პუნქტი 63). წინამდებარე საქმეში ეროვნული სასამართლოების განხილვის საგანი იყო განმცხადებელთა უფლება საკუთრებით დაუბრკოლებლად სარგებლობისა, უფლება, რომლის დარღვევაც დადგენილი იქნა სასამართლოს მიერ. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლები უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ იმ თანხებისა და დანახარჯების ანაზღაურება, რაც მათ ეროვნულ სასამართლოებში დაეხარჯათ.

72. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლებს არ წარმოუდგენიათ არანაირი საგარანტიო საბუთი მათი მოთხოვნის მხარდასაჭერად. თუმცა აშკარაა, რომ ზემოხსენებული მიზნისათვის მათ თანხა დახარჯეს და მათმა ადვოკატმა ეს თანხა მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის თანახმად გამოითვალა. სამართლიანობის საფუძველზე სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლებს აუნაზღაურდეთ თანხა 10 000 ევროს ოდენობით, 772,72 ევროს გამოკლებით, რა თანხაც მათ უკვე მიიღეს სამართლებრივი დახმარების სახით.